ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5651411

ნომერი: AR1857702

თარიღი : 21.10.2021

გაცემის თარიღი : 26.10.2021

გაცნობის თარიღი : 26.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა სიჭინავა პ/ნ 62004024187
- გულრიფში ს. გულრიფში

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა

თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
1.წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, სამსახურში წარმოებაშია AR1857667, AR1857697, AR1857701 და AR1857705 განცხადებები მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში გამიჯნული მიწის ნაკვეთების დაფიქსირების თაობაზე. მოთხოვნა გამიჯნული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირების თაობაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი განცხადებით, შესაბამისად, საჭიროა რომელიმე მიმდინარე განცხადებაზე მიეთითოს ყველა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი. გარდა ამისა, დაზუსტდეს მოთხოვნა N01.72.14.042.397 მიწის ნაკვეთთან მიმართებაში და თუ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები უნდა გავრცელდეს ამ ნაკვეთზეც, ისიც მოინიშნოს რუკაზე.
2. იმ განაცხადზე, რომელზეც გაგრძელდება საქმის წარმოება, წარმოადგინეთ განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.